

ოქმი

ქ.ცაგერი

10 სექტემბერი 2020 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

სხდომას ხელმძღვანელობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის

მერი ა.უგრეხელიძე

მდივანი ი.თავაძე

ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ნ.მიქაძე , ე.ფუტკარაძე, მ.ხუბუკელაშვილი, ც.მანდარია, თ. ბურჯალიანი და თ.კოპალიანი

სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოდგილე მ.მეშველიანი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზ.ხეცურიანი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროს დ.ჩაკვეტაძე, საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მ.ლეთოდიანი და ა(ა)იპ-საზოგადოებრივი ჯანდაცვის „დირექტორი თ.გურგუჩიანი.

დღის წესრიგი

მუნიციპალიტეტში covid -19-ის გავრცელებისა და მისი შეჩერების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელი

დ.ჩაკვეტაძე

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამსახურის უფროსი

მოისმინეს: მუნიციპალიტეტში covid -19-ის გავრცელებისა და მისი შეჩერების ღონისძიებათა შესახებ.

დ.ჩაკვეტაძე

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამსახურის უფროსი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში მართალია მდგომარეობა დასტაბილურდა, მაგრამ მდგომარეობა კვლავ საგანგაშოა გასული ხუთი დღის განმავლობაში სოფ.ორბელში, ლაჯანაში და სპათაგორში დაფიქსირდა კოვიდის დადასტურებული 10 შემთხვევა. 4 შემთხვევა გვაქვს სოფ.ჩხუტელში , შემთხვევები დაფიქსირდა მუნიციპალიტეტის 11 სოფელში, აქედან გამომდინარე დამშვიდების საფუძველი არ გაგვაჩნია. მიუხედავად

იმისა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეპიდემიოლოგები ყოველდღიურად ახორციელებენ მასობრივ თერმოსკრინინგს, ეწვეიან ახსნა განმარტებით სამუშაოებს, მდგომარეობა მაინც მძიმდება. მოსახლეობა კვლავ არ იცავს დადგენილ წესებს, ზოგჯერ ადგილი აქვს სარიტუალო ღონისძიებებს (ქელები, ქორწილი, დაბადების დღე და სხვა) ჩატარებას, რაც იწვევს კლასტერების გაჩენას და სხვა.

აზრი გამოთქვას: თ. გურგუჩიანი, ც. მანდარიანი, მ. მეშველიანი, თ. ბურჯალიანი, თ. კოპალიანი, მ. ლეთოდიანი, ზ. ხეცურიანი, დ. ჩაკვეტაძე, ა. უგრეხელიძე.

საბჭომ დაადგინა:

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე განსახორციელებლად დაიდო შემდეგი რეკომენდაციები.

ა) აუცილებელია გაკონტროლდეს მუნიციპალიტეტის შესასვლელ- გამოსასვლელი, ჩატარდეს მასობრივი თერმოსკრინინგი

ბ) მკაცრად შეიზღუდოს შიდარაიონული მარშრუტების მოძრაობა, რათა არ მოხდეს მგზავრთა ერთობლივი გადაყვანა, სატრანსპორტო საშუალებებში აუცილებელია რეგულაციების დაცვა, რაც ხშირად არ კეთდება, მაგრამ უნდა განახორციელოს შესაბამისი კონტროლი.

გ) ღონისძიებები უნდა გაამკაცროს პოლიციამ და განახორციელოს ქმედებები, რათა დაცული იქნეს საქართველოს მთავრობისა და საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების მოთხოვნები. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა უნდა აწარმოონ მოსახლეობაში ახსნა- განმარტებითი მუშაობა, განუმარტონ მოსახლეობას საშიშროება. ხალხმრავალი სარიტუალო ღონისძიების მოსალოდნელი ჩატარებისას აცნობონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრსა და პოლიციის რაიონულ განყოფილებას.

დ) მერის წარმომადგენლები მოქალაქეებში ინფიცირების სიპტომების გამოჩენისას სასწრაფოდ დაუკავშირდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს. მოითხოვონ ასეთი სიპტომების მატარებლებისაგან თვითიზოლაციის წესების დაცვა.

სხდომის თავმჯდომარე

სხდომის მდივანი

ა. უგრეხელიძე

ი. თავაძე